საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1257

30/12/2020

ქ. თბილისი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ მდ. საშუალაზე 2,32 მგვტ დადგმული სიმძლავრის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის, 35 კვ. მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის და 35 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, მე-9 მუხლის, მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 და 3.8 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ მდ. საშუალაზე 2,32 მგვტ დადგმული სიმძლავრის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის, 35 კვ. მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის და 35 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა №96 (08.12.2020);
2. შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიამ“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №96 (08.12.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი